

ნახ. მ. პაპუაშვილი





ჯიხიანს ჯიხიმუვი, მკიციანს ჯიქოფვი!!!

საგვლეთისნაირი

რად დასამალია და, საკუთარი უკანალი რომ დავიმალეთ, მალე საკერვლებიანი შარვლის ჩაცმა მოგვიწევს!.. მაგრამ, თურმე (მოდო და, ნუ გოცდები!), როგორც მარტის დასაწყისში „იჯექსტიამ“ გვამცნო, 86 მილიარდი მანეთი ჩასესხებული გვექონია... უფალოდ და უიშედო!..

თანაც, ამ კატასტროფულად ვიებერთელა თანხის ერთი ნახევარი თორმეტ სოციალისტურ სახელმწიფოზე მოდის, მეორე კი განვითარებად ანუ ყოფილ კოლონიებზე!..

სოცქვეყნებიდან, რასაკვირველია, ყველაზე მეტად დავალბებული კუბა გვეყოლია (15.000.000.000 მან.), შედარებით მოკრძალებული ვალი ჰქონიათ ჩვენი მონღოლეთსა და ვიეტნამს (ცხრა-ცხრა მილიარდი); მაგრამ დღევანდელი ჩინეთიც თუ სესერეკას მემყურე იყო, „კრასნაია ზევზდაში“ რომ წამეკითხა, არ დავიჯერებდი!.. წინეებთან შედარებით ზღვაში წვეთი, მაგრამ კაი ექვსი მილიონი ჩინელებსა ჰპართებიათ!

ახლა განვითარებად ქვეყნებს აღარ იკითხავთ? 49 ამნაირი ქვეყნიდან მხოლოდ ცხრაა „მილიარდერი“. აქედან ყველაზე „მღადარი“ ინდოეთი აღმოჩნდა (ცხრა მილიარდი მან.), შემდეგ რიგში დგანან: სირია (7 მილიარდი), ერაყი (3,5 მილიარდი), ავღანეთი (3 მილიარდი), ალჟირი (2,5 მილიარდი) და ანგოლა (2 მილიარდი)!

ნუთუ შეუიარაღებელი თვალითაც არ ჩანს, რისთვის ვაძლევეთ ამოდენა სუბსიდიებს: კუბას, მონღოლეთსა და ვიეტნამს?! განა რა დამსახურების გამო ვანდით ამოდენა სესხი ინდოეთს, ერაყსა და ავღანეთს?! ავღანეთმა რა ოქროს ჯილაც დაგვადგა, ბალღმაც კი იცის, მაგრამ ინდოეთი რომ დავგვირდებო, — პატარა კუჭი ამომიგსე და, რამე რომ მოხდეს, შენს გვერდით მიგულეო. — სარწმუნოა ვითომ?!.

ყველა, ყველა, მარა ამ ალჟირსა და ეგვიპტეს რა სჭირთ ჩვენი სამათხოვრო, ვერ გამიგია!.. ზოგიერთი შენიღბული საქმოსანივით ყასიდად ხომ არ გვესესხებიან, — არიქა, შიმშილით გმძვრება სული, გავგიმართებ ხელი და, მერე თქვენი ხმალი და ჩვენი კისერიო?!

ისე, ჩვენში დარჩეს და, ეს ცნობა იმასა ჰგავს, სულთმობრძავი მამამშობელი რომ ანდერძად ამოილულულუღებს — ამასა და ამას ჩვენი ვალი აქვსო! რომ გგონია, ავშენდი კაციო, მიიხედავ

და შენზე უფრო კუჭგამხმარი მეზობლები შეგრჩება ხელთ!.. ერთი-ორს თუ აღმოაჩნდება მამაშენის ვალი ისეთს, ქე რომ დულს და გადმოდულს, მარა რად გინდა?! — ერთს ვილაცის „გადასახურავი“ 30 მანეთი გამოურთმევია მამაშენისთვის, — შემსალაროში ნუ წამიყვან, შაბათი დღეაო! მეორეს ასმანეთიანის დახურდავება დანანებია და სახდაზღვევის თანხა 13 მანეთი და 47 კაპიკი მამაშენისგან უსესხებია! ჰოდა, რას გიშველის ახლა ეს 43 მანეთი?! დიდი-დიდი, ხუთი კილოგრამი ხორცი იყიდო და გაბრაზებულ გულზე სიგარეტი „ტემპი“ დააყოლო — ეგაა და ეგ!.. ერთადერთი, რაც ამ ქვეყნების ვალს მეზობლების ვალეებისაგან განასხვავებს, ისაა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ვალი, დროთა განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ ჩამოინერება ხოლმე, მეზობლის ვალი კი, ამ მხრივ (კიდევ იღბალი!) ხელშეუვალია!..

მაგალითად, ალბანეთის 127 მილიონიდან შარშანდელი პირველი დეკემბრისათვის 80 მილიონი უკვე ჩამოინერილი იყო, ხოლო მონღოლეთისა და ვიეტნამის ცხრა-ცხრა მილიარდიდან — რვა-რვა მილიარდი მანეთი!..

სად ნახავ დუნიაზე ჩვენისთანა კრედიტორებს?!

რა ბრძანეთ?! ეგენი სოცქვეყნებიო?! კი, ბატონო, განვითარებად ქვეყნებსაც, იცოცხლეთ-თქო, მითხარი, ვწყალობთ! მომეტებულად ავღანეთს: სამნახევარი მილიარდი ჰქონდა ჩვენი ვალი, მაგრამ გავითვალისწინეთ უამრავი საბჭოთა ჯარისკაცია გმირობა, თავდადება, ინვალიდობა, დაღუპვა და ექვსას მილიონამდე ჩამოეუყვანეთ!.. უყურადღებოდ არც ქრისტიანი სირია დაგვიტოვებია — 7 მილიარდიდან 6,5 უკვე ჩამოგვიწერია!.. „რკინის სერგო“ მოკვდა, მაგრამ მისი ტრადიციები ცოცხლობენ!!!

ისე, ბარემ ესეც ჩვენში დარჩეს და, ლაოსი თუა, ავღანეთი რალაზე არაა სოციალისტური?! რა, სხვაზე ნაკლებ შია თუ სხვაზე ნაკლებ სწყურია?!

გიგოლ ზარნაძე



შველას, ვინას
აკუთვნენ..

შაბი მოდგა..

ბათი ბათბანი

ფრთხილად!

მიკვირს თქვენი
ხმა და ტონი
და წყალწულა არაკები!
საქართველოს უბატონოდ
რატომ ელაპარაკებით?!
წადით. ნახეთ თქვენი ტოლი.
თქვენი მზე და თქვენი ჩერო.
და გახსოვდეთ: უბატონოდ
ხმა არ გასცეთ საქართველოს!

დრო წავიდა ლაქუცობის.
დასმენის და დაშინების.
უამი მოდგა ქაქუცების
ანუ ჩოლოუაშვილები!
უამი მოდგა მეტრების.
უამი მოდგა ზვიადების.
ცაო. ამოფერადლები.
უფრო ამომწიანდები!
უამი მოდგა სულთან სულის
შერწყმისა და ზიარების!
მიხარია. — ღმერთი. რჩული. —
ცოცხალი რომ ვიარები!

მთელი ცხოვრება
იმას აქებდა.
რასაც დღეს ასე
აქიქებენ;
მღიერს ართობდა.
სუსტთან ბრაზობდა.
ერისკაცობით
მატრბაზობდა!

ახლა ყველამ
გამოიღო ხელი! —
ეს კარგია,
მაგრამ, ძმებო.
ფრთხილად! —
აკაკანდა
ტიპი ქუთხელი
და საწყალი,
ვითა ლომი, ბრდღვინავს!
ერთხელაც არ
გაუვლია ქარში.
სახეს ბრეყვულს,
ვითომ, სიბრძნით მოსავს,
ამოთხვრილი დრუნჩი
სალაფავში
ლაშის არის,
შეახოცოს დროშას!
მიკროფონთან
ვერ მიასწრებს კაცი,
დიდთან კნავის,
პატარასთან დიდობს!
ღმერთს მადლობა! —
დრო მოვიდა მკაცრი
სიმართლის
და აწი არ დავინდოთ!

ღ ლ უ ტ ა ს

ღვიღვა ვარ და ღვიღვურად
ვცხოვრობ.
ჩემს გზას მივყვები,
ქირქილებენ ბრიყვულად
გამოცდილი ბრიყვები!
ბოღმით და უნიჭობით
ყელამდე აღსავსენი —
ოფლნადენი კიქებით
მკბენენ გაალმანებით!
კბენა მათი, ღაღუტა,
ჩემთვის არის ხიციანი!
ჩანს, ჩემი მოკვლა უნდათ
და მეც ვკვდები... სიცილით!

ი ბ ი

ლექსებით — ნაცოდვილართი.
ქართულით — გასაცინართი
დაიარება მძინარე!
სიმწრით, სიგლახით, ქილიკით,
უნიჭობისგან კანკალებს,
და ეგ საწყალი ვირიკა
ბედაურების ნაკვალევს
მიჰყვება ვირის ბილიკით!



ბ ა რ დ უ ვ ა ლ ო ბ ა

დრომ რომ ბარე ორს
ჭურგი აქცია, —
ქეშმარტების
არის აქცია!
ჭერ კიდევ ბევრი
არაკაცია! —
მოხდება მათი
დევალვაცია!

თვითონ ჭრიდა და
თვითონ კერავდა,
ნაღდ კაცს უმწერდა
ალმაცერადა!
და როცა მოდგა
უამი ახალი,
სხვათა ნაღვალში
ზელს ურცხვად ურევს!
მაგრამ მწამს, ძმებო,
რომ ეგ ახვარი
აწი ვერავის
ვერ გააცურებს!

ილუსტრაციები
ჯემალ ლოლუასი



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საერთო გარდაქმნიდან გამომდინარე, ჩემს პირად გარდაქმნასთან დაკავშირებით, ვცვლი, ვცვლი, ვცვლი:
ავტალიდან ვაკეში — ოროთახიან იზოლირებულ და მეზობლიან ბინას (ცივი წყალი ზაფხულშიც გვაქვს) ამავე ფართის ოროთახიან იზოლირებულ და უმეზობლო ბინაზე (სასურველია პროდუქტით სავსე მაცივრით).
55 წლის ნახევრად მშიერ ასაკს 35 წლის ნახევრად გამძლარ ასაკზე.
ქარხნის კლუბის გამგის ადგილს (ხელფასი 85 მანეთია) ლუდის დარბაზ „შატლის“ დახლიდარის ადგილზე (ხელფასი არ მინდა!).

ორლიტრიან ღვინის ყანწებს ერთლიტრიან რძისა და ნახევარლიტრიან მაწვნის ბოთლებზე.
გრძელთმიან, მოკლეკაბიან, „შამპოკონოჯახო-როკოსექსოვიდოს“ მოყვარე ქალიშვილს მოკლეთმიან, სწავლისა და შრომისმოყვარე ვაჟიშვილზე.
შენიშვნა: ცოლსა და სიდედრს არ ვცვლი, ისინი დიდი ხანია გამოვიცვალე!
ცნობებისათვის დაურეკეთ 09-ს და იქ გაიგებთ, რომ მე ტელეფონი არასდროს მქონია!

გოდერძი ენუშიძე

ნოველა

დილაუთინია სადგურიდან დაძრული საგარეუბნო მატარებელი ხრიგინით გადადიოდა ხიდზე, ვინ ლაპარაკობდა მიდსზე, ვინ არეულ ამინდზე, ხოლო ხიდზე შედგომამ ძალიან იმოქმედა პატარასა თუ დიდზე. როგორც კი ჩვენს ქვემოთ მტკვარი გაისარკა, წამოხტა და სარკმელს მიანყდა უბილეთო მგზავრი ისაკა, გატეხილმა შუშამ ვერ შეიკავა და გარეთ გაყო თავი, როგორც ფილთაქვამ.

— ხედამთ, ხალხო?! ისევ გაუხსნიათ ბრმების შკოლაი, ამ დილითა მანდა სწავლობენ ოქლოქა ტატე და პირქვედასამარხი კოლაი! — აყვირდა ისაკა და გრძელი ცხვირი აუვარვარდა, ვითარცა წითელი წინაკა.

ყური არ ვათხოვე იმის ქაქანს და ამა-სობაში გავცდით კიდევ ერთ ბაქანს.

— ძან ქვეყანა გვააქ, მე და ჩემმა ღმერთმა! შენ რას იტყვი, უფროსო! — შემომქირქილ-შემომცინა და მოლაფლაფებული ღრჯოლები ენით მიანვიწინ-მოანვიწინა. განზე გავიხედე, ჩავახველე და ამით, ალბათ, უარესად გავახველე.

— ხან სად გახსნიან ბრმების შკოლასა და ხან სადა, იმიტომაც არი, შეილოსან, რო ასე იზრდება ქრთამის მაზანდა!.. მაინც რა აჩენს ამდენ თვალხილულ ბრმასა, თანაც ერთიმეორეზე უარეს ძალსა და მამაძალსა?! — აქ ისაკამ ცალი ელამი თვალი ააპარპალა და, სახეზე შევატყვე, იმ ძალსა და მამაძალსებს მეც მიმათვალა.

— ბრმების სკოლას აქ სადა ხედავ? — კვითხე და ვაგრძნობინე, რომ ვთვლიდი თავხედად.

— მართლა ვერა ხედამ, უფროსო?! — ისაკამ ცხვირი გაინამყენა, თვლები თეთრზე დაიყენა, მერე ენა გაანკლატუნა და ხელი გაიქენა, ვითა წალდულა, — თუ მართლა თვლებით არა ხარ ავათა, უნდა არჩევდე, შუა მტკვარში რა მოჩანს შავათა! მტკვარი მოლევადა რკინიგზის გასწვრივ, მეორე ნაპირამდე მზერით იოლად გავწვდი.

— რალაცა მოცურავს, ალბათ კამეჩია! — მზერა დავძაბე, რომ უკეთ გამეჩრია.

— შენც ბრმების შკოლაში ყოფილხარ ჩასარიცხი, უფროსო! — ისაკამ გაუპარსავ ლოყებზე ღიმილით დაიმჩნია ორი ფოსო.

ისაკას ორი სხვა წამოადგა თუ წამოეშველა, ერთს ერქვა ბრინკა და მეორეს — ქეშელა, ერთს მილიციელის ქუდი ეხურა, მეორე იყო თავშიშველა.

— ესენიც ბრმების შკოლაში სწავლობენ! — მითხრა ისაკამ და ჯიბეში ხელი მოუფათურა რალაცა ცივ საგანს, — ბრინკა მილიციაშია, ქეშელა „ახრანაში“, მაგრამა იმდენად გაუტკბათ ალბათა მუქთა ჩექმა, მუქთა პლაში, რომა, პერესტროიკის მაგიერა, თავი ამოვყავით ბრმაყრუობაში!

აქ თვლების ხამხამი აუტყდა ქეშელას და ბრინკაც ხამხამში მას შეეშველა.

— აქ ვის აყენებ შეურაცხყოფასაო?! — ბოლოს მიინც გავადა ბრინკა, თვლები წამოენთო, კისერი გაუჯირჯვდა, ისე გამწარდა, ვეღარც იდგა და ვეღარც იჯდა.

— ერთ კითხვას მოგცემთ ჭკუის სატეხელასა და ეხლავე დაგასპაკიონებთ ყველასა! — აბა მითხარით, რათ დაჰფრინამენ თავზე გუნდ-გუნდათა თოლიები, მტკვარში რო მოჩანს, იმ ნავტიკსა?! — ისაკამ გულში ჩაითხლიშა მჯილი და ერთბაშად მტკვრიდან წამოფრინდა ოთხი ბატასინი და ოთხი იხვი, — ხედამთ, მაგათაც სიგარეტებივით ურჭვიათ თევზი ნისკარტში, მიდით და გაარკვიეთ, ხელზე იყიდეს თუ მოიგეს კარტში?!

ისაკა აღარ იყო ჩვენი თანატოლი, თავზე გვავდა, როგორც მკაცრი ეკზამენატორი. გასუსულები ვისხედით და უკვე გვესმოდა მტკვარზე როგორ რუკრუკებდა რალაცა მტკვარი. სვეტფორთთან ვიდექით, სიჩუმეში, ისაკა კი ყოველ შემოხედვისას თავს იწონებდა ნელი ხვნეშით.

— აკუმულატორზე მიერთებული აპარატია, დენდარტემული თევზი ამოჰყავს სულ პარტია-პარტია, ჩართავ თუ არა,

სულ ერთიანად წყვიტავს, თევზია, ბყაყია, თავკომბალა თუ ლიფსიტა!.. იმიტომაც დაჰფრინამენ თავზე თოლიები და ყანჩები, ნაპირზე გამორიყულ თევზებს არჩევენ!..

— მაგათ იარაღიც ექნებათ, შეიარაღებულ ბრაკონიერებთან მე რას გავხედები ასე ხელშიშველა? — ჩაიბრტყუნა ქეშელამ.

— მე კიდევა მორიგეობიდან თავისუფალი ვარ და სადა ვდიო, ყოველ ჭინკას! — ჩაილაპარაკა მორცხვად ბრინკამ.

— მომილოცნია, ორივეს დამთავრებული გაქვთ ბრმების შკოლაი! — დაიყინა ისაკამ და სახითაც დაემსგავსა ვასკას. ჯერ ბრინკასა და ქეშელას ჩამოართვა ხელი და მერე მე ჩამიხველა: — შენ კი, უფროსო, ენიდან ვერ იქნა და ვერ აგბლიჯავ პლომში, ამიტომ გეკუთვნის ბრმების შკოლის წითელი დიპლომი!

ხელის ჩამორთმევა ვერ გამიბედა, მხოლოდ თეთრზე დაყენებული თვალებით მომაჩერდა.

აჭალაში ჩავიდა ისაკა, ხალხი ვაგონში კიდევ დიდხანს ლოცავდა მის კაცობას, მის დედას, მის აკვანს!..

ანაზღად წამოიმართა ვილაც ახმახი, ვილაც ხათაბალა და ასეთი რამ წამოაყრანტალა: — ეგ ისაკა, რომ იცოდეთ, თვითონ არი ბრმების შკოლის პრაპისორიო, ყველა მაგისი ძმაკაცია, იქნება ეს „რობოზაბორონი“ ანთუ ინსპექტორიო, მუშაობს სმენიანში, ერთ დღეს ვახტუვა, სამ დღეს დაცურავს მტკვარშიო. ახლა რაც იყბედა, მაგას შური ალაპარაკებსო, რადგან თევზს ნავტიკეში მაგის მაგიერ ოქლოქი ტატე ალაგებსო!

ვაგონში დუმილი ჩამოწვა. ცოცხალ-მკვდრები დიდუბეში ვიდექით უკვე მკვდარ მტკვართან!..

ელგუჯა მერაბიშვილი

გავიქცეთ აქედან, ჩემო დრუტუ, თორემ ამ ნავცის დაურასაც ჩვენ დაგვაბარალებენ!..



ნახ. ჯ. ლოლუასი

წინასწარი

- ვაჰმა მწიღენელს უსაყვედურა: არც შენა ხარ კაი კაცი, პირში მეფერები და ზურგსუკან სამარცხ მითხრობო!
- ბალიშმა წაიტრაბახა: თავზე ხელაღებული კაციც კი ჩემზე თავდადებულიაო!
- საპატიო სტუმრად იმიტომ კი არ გთვლიან, რომ უველაფერი გაპატიონო!
- დირამატორი ყველას მაგიერ ლაპარაკობდა და მუშაებს თავი მოჰქონდათ — ერთი პირი გვაქვსო!
- თამაშამ უდროოდ წახულების შეხანდობარს თქვა და ალავერდი ლოთთან გადავიდა — ბარცხ სამადლობელიც მიაყოლეო!
- გზის გამოწახვად ურმის გადაბრუნებამდე შეიძლებაო.
- მეიჭარემ იჭარას მანამ არ დაუჭერა, ხანამ მოსავლით გული არ იჭერაო.
- მომხვეპული ენის სიწმინდეს იცავდა: ყველაზე ძალიან სიტყვა „გაითავის“ მოხწოდაო.

არჩილ მუხიბულაშვილი
(კახპის რაიონი, სოფელი კავთისხევი)



— დავიჭერო ახლა, ეს ღვინო შაქრიანი რომ არ არის?!
— რაებს ამბობ, კაცო?! სადაა ღვინისათვის გასაფუკებელი შაქარი?!

ნაქლი და ხელი



ი ბ ა ვ ი

ეინ იცის, რაზე წაევიდა ზღარბს იმ დღეს ხელი, რატომ უწოდა ეკლიანი, უშნო, უგვანო ან რატომ მოპყვა ყველას თვალნი გამომწვევ ტლიკინს, რისთვის ლანძღავდა უსაფუძვლოდ, მართლაც უბრალოდ:

„აგრემც ჯილაგი გაგინყდესო, გაგინმეს ძირი, შე ეკლის ბოხჩავ, უმაქნისო, ძეძვის სადარო, ნეტამც მთელ გვარში ერთიანად გაგიჩნდეთ ჭირი, შენნაირისგან ირყენებაო მთელი სამყარო!“

უკვირდა ზღარბს, რომ გამხლართული უსაქმოდ ხეზე ასე უსირცხვოდ აქანებდა ენას უკულმა: „მთელი დღე ურცხვი, უმაქნისი, ნებიერობს მზეზე, თავის საქმისთვის თუ გაძვრება სადღაც უჩუმრად!“


ბოლოს, როდესაც მოთმინების გაუნყდა ძაფი, ქეჩოში სწვდა და მოისროლა მოლზე კისრულით, გულზე იტაცა ხელი ხელიკმა ტყუილად, ზაკვით, იცრემლებოდა შიშისაგან კუნძზე მიკრული!..

და მაშინ მოხდა სასწაული მოულოდნელი, ჯერ არნახული, რაც შეიცნო ზღარბმა სამყარო, — ხელიკს უცაბედად კუდი მოსწყდა, როგორც საბელი, ხოლო თვითონ კი მიიმალა ბუჩქში საჩქაროდ!..

დიდხანს უყურა ზღარბმა კუდის მოწყვეტილ ნაწილს, თქვა: „საკვირველი, უცნაური დრო და ჟამია, ამა სოფლისას ვერ შეიცნობს ყველაფერს კაცი, კუდს რად იწყვეტენ, დამნაშავე როცა თავია?!“

ჩვენშიაც ხდება, აბა, ნაკლი რატომ დავფაროთ? ხშირად ვილაცის დანაშაულს ფარად ვუდგებით, ვცდილობთ, ზოგ-ზოგის ცოდვიანი თავი დავმალოთ, მიტომაც ხშირად სამსჯავროზე გვრჩება კუდები!

პალერიან მამუქელაშვილი



უსიტყვოდ

გ.გ.

ნახ. 2. ზუბაშვილისა



შ ე ლ ე ტ ო ნ ი

შეხიის

შეჯასიუტუოთი!

მას შემდეგ, რაც მგზავრობა ტექნიკურ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებით დაიწყო, გამოიგონეს ბილეთი! აი, ამ ბილეთის შექმნის შემდეგ შეგიძლიათ ჩაჯდეთ თვითმფრინავში, მოთავსდეთ გემის კაიუტაში, თუ გნებავთ, გემბანზეც გაისიერნებთ! ასევე, იმგზავრებთ ავტობუსით და მატარებლითაც კი! დიახ, ბილეთის მფლობელი უფლებამოსილია იმოგზაუროს მშვიდად, უშიშრად და, როგორც ჩვენი სარეკლამო საშუალებები გვაუწყებენ, მოხერხებულად და კომფორტით! თუმცა, ბილეთის შექმნა რიგ შემთხვევაში არცთუ ისე იოლი გახლავთ, მიუხედავად ამისა, ტრანსპორტის ესა თუ ის საშუალება ნახევრად ცარიელი მიმოდის!.. ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყანაში ხდება და ცოცხალი თავით ამ პრიორიტეტს არ დევნებთ!

დიახ, მატარებლით მგზავრობის სურვილით თბილისის ვაგზალში მივედი (როგორ დაკარგა ვაგზალმა თავისი პირვანდელი სახე და დანიშნულება!) ბილეთები, რა თქმა უნდა, არც ერთი მიმართულების მატარებელზე არ ჰქონდათ! რადგან აუცილებლად უნდა გაემგზავრებულყავი, სამტრედისკენ მიმავალ პირველსავე მატარებელში „შეძევრი“, შემდეგ — დიპლომატიური მოლაპარაკება გამცილებელთან და... თუ ფული გულობს, რაღა საჭიროა ბილეთი?! კონფლიქტი მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა: როცა გამცილებელმა ზარმაცი დიასახლისის მიერ გარეცხილი, ნახევრად გაუნურავი თეთრეული შემომთავაზა, ამ საკითხზე მგზავრთა (ბილეთიან!) უკმაყოფილებას მხარი ავუბი და ყველასთან ერთად მარცხიც ვინვინი. როგორც გაირკვა, მატარებლებში საერთოდ ასეთი სველი თეთრეული ყოფილა დამკვიდრებული! კასპს რომ მიუახლოვდით, გამცილებელმა მიჩინეული ადგილიდან წამომავდო, მესამე კუპეში ზედა სანოლი შემომთავაზა, თან თხუთმეტი მანეთი მომთხოვა!..

— სამტრედიამდე ექვსი მანეთი ღირს ბილეთი! — შევკადრე სიმართლე.

— თუ ღირს, აგელო! — უცბად მომიგო. კამათის უშედეგობაში გორში დავრწმუნდი და, როგორც უღირსი მგზავრი, გორის ვაგზალში დავჩრჩი. ვაგზალი აქაც პირველცნებადაკარგული, ჭუჭყიანი და ცივი იყო. მომდევნო მატარებელი, რომელმაც ჩემი შეწყალება იკისრა, თბილისი — ბათუმი აღმოჩნდა. აქაც — გასაშრობად გამოფენილი თეთრეული, ჩორქოლი, მაგრამ თბილისიდან გორამდე კამათში ცოტა დამცხრალან. თხუთმეტიოდე წუთში დავრწმუნდი, რომ მგზავრობას ვერც ამ მატარებლით გავაგრძელებდი. მიზეზი? გამცილებლის იგივე მადა, იგივე გაუმადლობა, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელმა განმიმარტა უბილეთოდ მგზავრობის სიძვირე: მანეთი — სალაროს სადისპეტჩეროსო, რევიზორსაო, კონტროლიორსო, ელექტრიკოსსო!.. ასე ჩამოვხტი ხაშურს იმის იმედით, რომ ამ მეთოდით სულაც უფასოდ ჩავალწვედი სამტრედიამდე. საათზე ცოტა მეტი დამჭირდა ლოდინი, რომ ისევ უბილეთო მგზავრის მისიით (გორისაგან განსხვავებით, ხაშურის ვაგზალში ცოტა თბილად კიდევ და მოლარეც ადგილზე იყო, მაგრამ ბილეთზე უარი მტკიოდა) ამჯერად თბილისი — ოზურგეთის მატარებელში შევდგი ფეხი. ნახევრად ცარიელი ვაგონები, იგივე სველი თეთრეული!.. გამცილებელს სიტყვა მივეცი და ვერ გეტყვით, რამდენი გადამახდევინა!

რაკი ბილეთი ის ხვითა, ვაგზალში ორი და სამი საათით ადრე მისულისათვის რომ მიუწვდომელია, უკან გამოსამგზავრებელი ბილეთისათვის ადრე დავიჭივრე თადარიგი, ავიღე კიდევ, დავეჯექი მატარებელში და მალე თანამგზავრიც გამომეცხადა. გამომეცხადა და სადგურ სვირში ჩასვლამდე თვალსა და ხელს შუა გამიქრა!.. ალბათ იფიქრა, თბილისში კარგი ამინდა და ეს ჩასათბუნებელი ქურთუკი რაღად უნდა ამ ოჯახსუნებულსო, და ჩემი ქურთუკი, ფული, რაც ჯიბეში მქონდა, ცოტა რამ საყოფაცხოვრებო წვრილმანიც ხელს გააყოლა!..

მავანი იტყვის, სად იყო გამცილებელი? იქვე, გვერდით კუპეში, თავის თანამოსაქმებთან ცხარე კამათში გართული. მეტად საინტერესო მეჩვენა მათი საუბრის თემა, იქნებ თქვენც დაინტერესდეთ: თურმე მათი გაცხარების მიზეზი ის იყო, რომ მატარებელს შემომწმელები დასხმინ თავს და მგზავრების უბილეთოდ გადაყვანისათვის აქტი რომ არ შეედგინათ, ფულს უგროვებდნენ მათ!..

თემა, როგორც ვთქვით, საინტერესო იყო, მაგრამ გამცილებლებს ბოდიში მოვუხადე შეწუხებისათვის და ვამცნე, რაც დამემართა. გამცილებელმა სწრაფად მოიყვანა წესრიგის დამცველები, რომლებმაც დამანერინეს განცხადება, შეადგინეს საქმე!.. მატარებელი კი მიქროდა, მიქროდა ოცნებების აღმძვრელად და მე გამახსენდა ამ შვიდიოდე წლის წინათ ჩემს გაძარცვულ ბინაში შედგენილი საქმე, რასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია!..

დიახ, მატარებელი კი მიქროდა, მიქროდა ნაპერწკლების ფრქვევით!..

P. S. დარწმუნებული ვარ, რომ რკინიგზას სიზუსტე უყვარს (ის არაფერი, მატარებლები დაგვიანებით რომ მიმოდინან), ამიტომ თუ მათი ზემდგომი უფროსები დაინტერესდებიან (რისი იმედიც ნაკლებად მაქვს) ჩემი მონათხრობით, სიზუსტისათვის დაძვენ: თბილისიდან სამტრედიამდე ვიმგზავრე 21 თებერვალს ზემოთ დასახელებული მატარებლების № 10, 9, 8 ვაგონებით, ხოლო სამტრედიიდან უკან — ოზურგეთი — თბილისის № 2 ვაგონით, 26 თებერვალს.

დავით ასკურავა

აქციაგის კურსი ეცემა!..

წალტუბოდან ქუთაისში... მე არ ვიცი, რამდენ ხანს ჩავაწერილი, მაგრამ გორში რომ უსაშველოდ დაავიანდა ამ მტრისთვის თვალბდასაბრმავებელი მშვენიერი საკურორტო ქალაქიდან მოწერილ ბარათს. ფაქტია! ხელთ მივირავს კონვერტი, რომლითაც ჩემი მეგობარი მარკი მილოცავს ახალ წელს. გამოგზავნილია იგი წალტუბოდან ყველა წესის დაცვით, ინდექსით, 1989 წლის 27 დეკემბერს. ამას იუწყება საფოსტო შტამი. წერილი მივედი 1990 წლის 19 იანვარს. ამასაც შტამში იუწყება, ჩემი მოგონილი არ გახლავთ! ეჰ, მარკ, მარკ, შენ ზუთკაპიეიანი მარკა ვაგიფუქდა. კავშირგაბმულობის მარკამ კი დაბლა დაიწია!..

ჯამლეთ სარბილი

ერთი ფრავის გამო

შარშან „ნიანგის“ 23-ე ნომერში დაიბეჭდა ჯ. ბაზერაშვილის „ფრავები“. ერთ-ერთ ფრავას — „გლდანის რაიონის ხანეპიდსადგურს სასწრაფოდ ესპეციალურად ვირთხების დამთვლელი კომისია!“ — სასწრაფოდ გამოეხმებურა გლდანის რაიონის ხანეპიდსადგურის სადგური და გულსიტკივლით გვაუწყა, რომ მორღნელების წინააღმდეგ ბრძოლა წამდვილად საჭირო და აუცილებელი ღონისძიებაა. მაგრამ მას ახორციელებენ სადენინფექციო სადგურები (დენაუნქტები) და არა ხანეპიდსადგურები!

„ნიანგს“ სჯერა მათი. მით უმეტეს, წერილს ხანეპიდსადგურის მთავარი ექიმი და ამ მრავალრცხოვანი კოლექტივის თანამშრომლები აწერენ ხელს.

ვფიქრობთ. ეს წერილი გლდანის რაიონის სადენინფექციო სადგურისათვის შესწენებაც იქნება და თხოვნაც, ყურადღოს ყოველივე ზემოთ აღნიშნული და მოგვწეროს გატარებული ღონისძიებების შესახებ!

ნანა ჯაჯანაშვილი

— ეჰ, ბედნიერი ხარ, ჩემო ცუგა, შენსავით აშვებულნი რომ ვყავდე მამაჩემს, ქალაქში გავიქცეოდი!..



ნ. ა. ჯ. ლ. ჯ.

საქირაულო-ინთენიუალი

ცენტრისკანული ფიქრები
ცენტრიდანულ ქალაზა

დრო დადგა, ცენტრს რომ მივართვა რაც აგერ დავაბალანსე — ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა იმ ცენტრიდანულ ქალაზზე: სხვა მტერზე საშიში არი შემოგზავნილი შინ მტერი, გინდა დაარქვი „კავშირი“, გინდა უწოდე „ინტერი“! სხვა ხერხით ველარ გავიგებთ, ვინ მოყვარება, ვინ მტერი? სიმღერით რომ არ გავიღეთ, — დაგეგმილი აქეთ „ინტერი“! იმ ხალხის გამოვლინებას, ვინ ჭკვიანია, ვინ შტერი, — როგორც მოსკოვმა ინება, — ნეტა რად უნდა „ინტერი“? ნიხლებს ისედაც გვიშენდნენ, „სპრინჯი“ იდგა თუ „ვინტერი“, ვითომ იოლად გვიშვებდნენ — შეაკონინეს „ინტერი“!

პასკვილს ვკითხულობო ჭმუნვით და გული ბრაზით ივსება — ვის შეუვგინეთ რჯული და ვის შევუღახეთ ღირსება? ვინ გათიშეთ ან დავტორეთ? როდის ვემსგავსეთ ბატონებს? სად გაგონილა, ბატონი თავისუფლებას ნატრობდეს? ეს რანაირად დახავედი, — თუკი სწორს აჩენთ დახრილად, — სისხლი ოსის და აფხაზის ქართველზე მეტი დაღვრილა? ვინ დაგიჯეროთ ასეთი უკუღმა ნათქვამ-ნაროში? ამდენ ენაზე გაზეთი გინახავთ რომელ მხარეში? გეყოთ სიმუხთლე! შეჩერდით!

დაფიქრდით, თუა იოლი, — გვერდივერდ იდგეს მეჩეთი, სინაგოგა და სიონი!..

ყველამ ვიცოდეთ: ეს ბომბი შორით მართული ბომბია, და მისი უგუნებულოფა უბრალო საქმე როდია! არც ერთ სხვა ვერს არ ვერჩოდეთ! — ეს ჩვენი მტკიცე „პონტი“, ამიტომ ნუთს არ ეჭვობდეთ: ძირს თქვენი ინტერფრონტი!

თამაზ ებანოიძე

ტყუილად მნამებანი

ამ გულისტკივილს გულში ვერ დავტოვებ, თქვენთვის გამხელა მსურს: ის — მისთვის, მე — ჩემთვის, ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს და არაფერს ვერჩი რუსს!

რის შოვინიზმი ან ნაციონალიზმი? — მე არაფერი მჭირს! მიყვარს ქართველიც და არაქართველებიც! — სიტყვას არ ვაგდებ ძირს!

არც ენას არ ვაქცევ ყურადღებასა და არც თმის თუ კანის ფერს, მაგრამ როდიონოვს, ანდა ასტაფიევს ვერ შევიყვარებ, ვერ!

მე ასე მჯერა და, თუ გინდათ, მომკალით და ვერ შევიცვლი მრწამსს! სობრაკი რომ არის, ვლასოვი რომ არის, — ასეთი რუსები მნამს!

ტყუილად მნამებენ ვისამე სიძულვილს, ანდა ვილაცის შიშს! თავს შემოველები იმას, ვინც პატივს სცემს ქართველის გენსა და ჯიშს!

ამ გულისტკივილს გულში ვერ დავტოვებ, თქვენთვის გამხელა მსურს: ის — მისთვის, მე — ჩემთვის, ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს და არაფერს ვერჩი რუსს!

ნუგზარ აფხაზაძე
ახალგორში მივდივარ!..

კვირა დილა რომ თენდება, მიყვები დილის ნიავს

და ახალგორში მივდივარ, ლენინგორი რომ ჰქვია!

აქ ჭედდა ძველი ქართველი ძველებურ სმალს და ერქვანს, იდგა ეს ჩემი მამული და ახალგორი ერქვა!

მერე ვილაცის ხუშტურით (ო, გულო, რას არ უძლებ!) ახალგორს

ლენინგორობა ზედ დაანათლეს უცებ!

არადა, ლენინს (მივივრს და გაკვირვებული ვრჩები!) არც ახალგორი უნახავს, არც ლენინგორის მთები!..

და ვფიქრობ დღეზე, როდესაც (მაინც ჩემსაზე ვდგავარ!), ლენინგორიდან წამოვალ და ახალგორში ჩავალ!

ლალა ცაქვიტიშვილი

საქსიკონი

- თავისუფლება — სულს რომ მოსწყურდა უღაბროში.
- ენგურები — დასრულებული მშენებლობა. რომელიც საქართველოს ნგრევას იწუებს.
- ბათუმი — ნავთობის გადამამუშავებელი და „დამწველი“ წერტილი.
- კოპერატივი — სპეკულაციის განვითარებადი ფორმა.
- დემოკრატია — „ამბობს. ჩემი სჯობსო, უცილობლობს. ვითა ჯორი“.
- კომუნისმი — გზა უსასრულობისკენ.
- სიმართლე — ვეძებ და ვერსად ვპოვე!
- მიტინგი — გულის მოსაფხანი ღონისძიება.
- გაფიცვა — ნებაყოფლობით პრემიის ნებაყოფლობითი დაკარგვა.
- კონსოლიდაცია — პირველი სამი სადღეგრძელო სუფრაზე.
- საქარობა — ჯარის გააქტიურება მომიტინგეთა წინააღმდეგ.
- კონსტიტუცია — ზმნების უღლებისა და სახელთა ბრუნების გაუთავებელი პროცესი.
- ეკოლოგია — დაკარგული სამოთხე.
- ბრიფინგი — პოლიტიკური წუთშესვენება.

მურმან მეჩაკვილიშვილი



— სოკო გაქვს!
 — ამ უსაპნობაში სოკო კი არა, ხე რომ არ ამომივი-
 და, არ გიკვირს?!

მალაღიმეი ლაზარაიანი



ი ბ ა ვ ი

სურსათის საწყობს,
 პირწმინდად დაგვიოს,
 შემოეჩვია
 მსუნავი თავი.
 თავის ცხოვრებას
 ხალხის მოსაგებად,
 სურსათს მიირთმევს,
 ატარებს დროს
 საგონებელში,
 ჩავარდა უვლად
 და გადაწყვეტს
 ერთბაშად, თელად:
 „რომ ავიცილოთ
 თავიდან ხათა,
 მოდი, საწყობში
 შევგზავნოთ კატა!“
 იმ დღიდან საწყობს,
 პირწმინდად დაგვიოს,
 ვერ ეკარება
 მსუნავი თავი!
 სამაგიეროდ
 ხხვა იწყემდს სულხა:
 დარაჯი კატა
 მიირთმევს სურსათს!..



თარგმან
 ზივი ციციუშვილი

გვარად... «ნიანკა»

გვარად კაცს რომ მოსწყურ-
 დება. სასმელი წყალი არ ექნება
 და უკველდნ „ნაბელაისთვის“
 ირბენს მალაზიაში, ამაზე უარესი
 გაგონილი? ერთ დროს ჩვენც
 ბეჭონდა წყალი, მაგრამ სოფლის
 ყოფილმა თავიკაცმა ჩვენი წყალსა-
 დენი რაიონის წყალთა სამმართვე-
 ლოს გადასცა. ამ სამმართვე-
 ლოს მესვეურებმა კი ჩვენს წყალ-
 სადენს სოფელ მალაღიმეის
 ჩაის ფაბრიკის წყალსადენის სის-
 ტემა მიუერთეს. მერე სოფლების
 — მშვიდობაურისა და მზიანის ჩა-
 ის ფაბრიკებსაც გაუყვანეს მილე-
 ბი და დაერჩით ასე ხანამშრალე-
 ბი!.. რაიონის წყალთა სამმართვე-
 ლოსა და ამ სოფლების თავიკაცები
 ჩვენს უწყობას ერთმანეთს აბ-
 რალებენ!..

ისე, ჩვენში დარჩეს და, „ნაბე-
 ლავი“ ცუდი დასალევი არაა, მა-
 გრამ უკველთვის რომ არ იშოვე-
 ბა?

გვიშველე, ნიანკო, და ჩვენთან
 რომ ჩამოხვალ სტუმრად, ნაღდ
 გურულ ადგას დაგაღვივებ!

ოზურგეთის რაიონის სოფელ
 ნაკომრის მწყურვალთა უბნის
 მცხოვრები ნოდარ წიპარაიანი.

მინც მოდიოდა ხოლმე, ახლა კი
 სულ ჩაკეტეს ურდულები და მი-
 ლები დაიყანა... პენსიონერები,
 მოხუცები რამდენიმე კილომეტ-
 რიდან ვეზილებით წყალს!..
 გაქვს მეორე ვასაჭირი: სო-
 ფლის ბევრ უბანში უკვე შემო-
 ყვანილია და დამონტაჟებულია
 ბუნებრივი გაზის სისტემა, მაგ-
 რამ ზოგიერთ უბანში არც ეს სა-
 ქმეა მიყვანილი ბოლომდე!
 რა გქნათ, ვის მივმართო და-
 ხმარებისათვის?

გააკურცინალავი

ხარაგაულის რაიონის სოფ-
 ელ უბისში ხშირად, კვირაობით,
 ზოგჯერ თვეობით ვართ ბნელში
 ელექტროენერჯის შეწყვეტის გა-
 მო. კინო ჩვენთან კვირაში ერთ-
 ზელ ტარდება ზაფხულობით და
 მაშინაც ველოდებით დენს. ტელე-
 ფონზე ხომ საერთოდ არაფერს არ
 ვამბობთ, თუმცა ოფიციალურად
 დაიწერა, რომ „ხარაგაულის რაი-
 ონის უბისის მცხოვრებლები უკვე
 სარგებლობენ 50-ნომრიანი სატე-
 ლეფონო ხაზით“.

ჩვენც მოგხვდება ნიანკო!

გლდანის მე-6 მ/რაიონის 16-
 სართულიანი მე-3 კორპუსი, რო-
 მელსაც „ექსპერიმენტული“

შეარქვეს, გარედან თვალს მოგკ-
 რის სილამაზით, მაგრამ შიგ რომ
 შეხვალ, ატირდები!.. ისე, ამ სახ-
 ლის ამშენებლებს დაუმშენდეთ
 ცხვირი, ეს ექსპერიმენტუ-
 ლი არ იყოს! არადა, რა ზარ-ზე-
 იმით გამოაცხადა ტელევიზიით ტე-
 ლეკომენტატორმა, ამ კორპუსში
 სულ მალე ბინას დაიდებენ ომი-
 სა და შრომის ვეტერანების მრავალ-
 შვილიანი ოჯახებით!

კორპუსი თითქმის ავარიულია
 და თავიდანაა დასამონტაჟებელი!
 მე-16 სართულზე წყალი საერთოდ
 არ ამოდის, წვიმის დროს აიგნე-
 ბი ივსება წყლით, სკდება წყალ-
 გაყვანილობის მილები, სარდაფე-
 ზიც დამყაყებული წყლითაა სავსე,
 არ არის დამონტაჟებული სატელე-
 ფონო კაბელები!..
 საკითხავია, ვის სჭირდება ასე-
 თი ექსპერიმენტული კორპუსი?

ბასეთის გზატკეცილი და-
 ან თბილისის ზღვის რეგულატორ მო-
 ნაკვეთამდე სულ ოთხი კილომეტ-
 რია. აქედან სამი კილომეტრი გა-
 დაცემული აქვს საქარხნო რაი-
 ონს, ხოლო ერთი კილომეტრი —
 ვარკეთილის დასახლებაში შემავალი
 გზა — უპატრონო! დავობენ
 ახლა 26 კომისრის, საქარხნო რაი-
 ონის აღმასკომები და თბილისის
 გზათა სამმართველო იმაზე, თუ
 სინამდვილეში ვის ეკუთვნის ტრა-

სის აღნიშნული ნაწილი!.. და ეს
 ყველაფერი ხდება მას შემდეგ,
 რაც გზა მწყობრიდან გამოვიდა!
 მალე აქ სამარშრუტო ავტობუსე-
 ბის მოძრაობა შეწყდება. სანამ
 შეიძლება გზა უპატრონო იყოს?

ჯუმუარ ტატიუშვილი,
 სახალხო ფრონტის ვარკეთი-
 ლის დასახლების პირველადი
 ორგანიზაციის რწმუნებული.

ბასული წლის № 15 „ნიან-
 გში“ გამოქვეყნდა გივი ჩხიკი-
 შვილის პამფლეტი „მკვლელი და
 მხვევარი“. სრულიად ვეთანხმე-
 ბი ავტორის მსოფლმხედველობას.
 მართლაც, უკვე დროა ყველას
 თავისი კუთვნილი ადგილი მიეუ-
 ჩინოთ ისტორიაში, როგორც გმი-
 რსა და ერისკაცს, ისე მოღალა-
 ტეს! ის პარადოქსები, რაც ამ
 მხრივ დღესაა თბილისში, სასწრა-
 ფოდ უნდა გამოსწორდეს. სერგო
 ორჯონიკიძეს, ფილიპე მახარაძესა
 და მისთანებს ერმა უნდა მოუწყ-
 ყოს სასამართლო! ეს უნდა იყოს
 მკაცრი მაგალითი ყველასთვის,
 ვინც მომავალში შეეცდება ხელ-
 ყოს ჩვენი ეროვნული, სუვერე-
 ნული თუ ზოგადსაქაობრივი იდე-
 ალები!

გურამ ხუციუშვილი,
 მედიცინის მეცნიერებათა დო-
 კტორი.

გაგონიერად მოპოვება

მხოლოდ ხელფასის დღეს შეგიძლიათ იგი ნახოთ, ბატონო!

ბატონო დინჯეჭორი უფროსი გეგმით უფროსს რატომ აძლევს ხელს წყლის ამღვრევა? ეხ, ჩემო კარგო, ყველა სუსტი ხელმძღვანელი მდგომარეობიდან გამოსავალს მაგ ვა რიანტში ხედავს!

ბიძია, რა უხეირო ხალხია ჩვენი უფროსები: საზოგადო ქონებას ერთმანეთში ინანილებენ, ხოლო ჭკუას ჩვენ გვირბიებენ!

არ მომწონს ეს ადრე ამე-ნებული სახლი! ხომ არ მირჩევი-ლით, ვის შეუძლია მისი დაწვ-რევა?

აგერ, ჩვენს უფროსს მი-მართეთ, ბატონო, იმას ეხერხე-ბა სხვების აწენებულის დაწვ-რევა!

ძალიან გთხოვთ, როგორც გამოცდილმა კაცმა, გამიჩინოთ კონსულტაცია, თუ როგორ შეე-ქმნა ჩემს კოლექტივში ანარ-ქია!

მაგ მოთხოვნის სისრულე-ში მოყვანა მხოლოდ ჩვენს უფ-როსს შეუძლია, ბატონო!

რა ვიღონოთ იმისათვის, რომ მარჩენალი მინისაგან რაც შეიძლება მეტი მოსავალი მივი-ლოთ?

გეთაყვა, ამისათვის საჭი-როა, მოვიწვიოთ გაფართოებული თათბირი და იქ ვიმსჯელოთ მაგ საკითხზე!

გივი კილაძე

ე ეხო რაღა ოხრობაა, ნე-ტა ვიცოდეთ? — უკითხავს მი-ხოს.

მიხოს, — უსწავლებიათ, — მარანა, გაეო, ცარიელ ჭურთან მიდი, წასახე და, რო ამოგახებებს, ეხოც ეგ იქნება! მისულა მიხო ცარიელ ჭურთან და — შენი დედა ასე-და ისეო!.. — ჩაუძახია.

შენი დედაც ასე და ისე, და შენი კეთილებიცაო! — ამო-უძახია ჭურს. გაოცებული მიხო: — კაცო, შენაო, ეხო არა ხა-რეო?!

არა, მიხო ვარო!..

მიხოს ცოლთან ერთად კამ-პიროვსკის სეანსს უყურებდა თურმე ტელეეკრანზე. ერთიც ენახოთ, წამომდგარა და მარ-ვლის უბის შესხსნა დაუწყია!..

რას ჩადიხარ, კაცო?! — შეურისხავს ცოლს, — ახლავე შაიკარი, ემანდ „პრიშკიკი“ არ ეგონოს და არ გაგიქროსო!..

ძალიან უყვარდა მიხოს დოლ-გარმონით ქეიფი. კაი პურ-მარილის გასამლედად ვალს ვალზე იღებდა და ვალებში ყე-ლაძმდე ჩაიფლოო!..

ერთხელაც სამსახურში ჰკით-ხეს, ვალიდოლი ხომ არ გექნე-ბაო? (ცუდად გახდა ვილაც).

— თუ ძმა ხარ ვალიდოლს ნულარ მიხსენებ, ვალმა და დოლმა დამღუპაო!..

სატელეფონო გადასახა-დის თაობაზე რაღაც გაუგებ-რობა მოხდა და მიხოს ტელეფონი გამოუტეთეს. დარეკა ავტო-მატურ სატელეფონო სადგურში და ეუბნება:

— თუ და ხარ, ისეე ჩამირ-თეთ, ჩვენი ტელეფონი ჯერ ჩა-რთული რა არის, გამორთული რა უნდა იყოსო?!

მაშინვე ჩაურთეს!

პარტიის რაიკომის პირ-ველ მდივანთან ერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ალოდი-ნეს და ბოლო კაცად შევიდა.

— ამხანაგო პირველო, ჩვენს სოფელში ბუზი მომრავლდა, ძა-ლიან შეგვანუხა, იქნებ მაღაზი-აში სატყეველების დიდი პარ-ტია შემოატანინოთო!

— სიამოვნებით, მაგრამ მო-დით, ეგ საკითხი ჯერ რაიონის არაფორმალების ლიდერთან შე-ათანხმეთო! — უპასუხებია პირ-ველს.

მასწავლებელმა ნულ კლა-სში ია შეიტანა.

ბავშვებო, ამ ყვავილს ია ჰქვია. მოდით, დაფაზე დავწე-როთ: „ი-ა, ია, აი ია“.

ტექსტი ჯერჯერობით მხოლოდ პირველი წაკითხვით მი-იღეს!

ერთი მსახიობი, ცოტა არ იყოს, შურიტ ეუბნება მეორეს: — მითხრეს, შენთვის ახალი როლი მოუციათ, ბევრი ტექს-ტია?

— ტექსტი სულ არაა, მე ხომ მუნჯი უნდა ვითამაშო!

განცხადებაჲი კომარცოულ გავაქოში

პარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, მაღალი, გამხდა-რი, ბრმა, სიგარეტს არ ვენე-ვი, ღვინოს არ ვეტანები. მაქვს ბინა და აგარაკი. ვეძებ 25 წლა-მდე მეუღლეს — წყნარს, თავ-მდაბალ ქალიშვილს. ვინც მიპა-სუხებს, ვთხოვ გამომიგზავნოს ფოტოსურათიც!

შემისრულდა 45 წელი, ვარ ორცოლოგანაშვები. მათი წყალო-ბით აბსოლუტურად დავერუფდი. სანამ ჩემს შესახებ სხვა ინ-ფორმაციას მოგანვდით, მას, ვინც ჩემს მესამე ცოლობაზე იფ-იქრებს, ვთხოვ გამომიგზავნოს კახეტა თავისი ხმის ჩანაწერიო!

— მაკა, რატომ გიდის სიგა-რეტის სუნი? — გამომცდელად ეკითხება დედა მოზარდ გოგო-ნას.

— მამიკომ მაკოცა და იმი-ტომ!

— მამიკო რომ სიგარეტს არ ეწევა?

— სამაგიეროდ მისი მდივანი ქალი ეწევა!..

სამხედრო ნაწილში კაპი-ტანმა სალამო ჟამს უმცროსი ლეიტენანტი გამოიძახა:

— მე მომახსენეს, რომ დი-ლით ყაზარმაში გალენილი მთვრალი ბრუნდებოდი და წინ ურიკას მოაგორებდი! გაპატიმ-რებ სამი დღე-ღამით!

— არღს, ამხანაგო კაპიტანო! ოღონდ ნება მომეცით, გაგახსე-ნოთ, რომ იმ ურიკაში თქვენ იწეით!..

— სად გარბიხარ? — ეკით-

ხება პაციენტს მთავარი ქირურ-გი. ექთანმა ხომ თქვა, რისი გე-მინია, აპენდიციტის ოპერაცია ადვილიაო.

— ჰო, მაგრამ ექთანმა ეს იმ ახალგაზრდა ქირურგს უთხრა, ვისაც ჩემთვის ოპერაცია უხდა გაეკეთებინა!..

სახლის პატრონი სტუდ-ენტ მდგმურთან შევიდა — რა-საა, ბინის ქირას რომ არ იხდი, სადამდე უნდა გადროვო?! —

ქალბატონო ქსენია, ხომ იცით, ოდესმე თქვენს სახლზე რომ ასეთ ნარწერას გააკრავენ: „აქ ცხოვრობდა გამოჩენილი იურისტი..“

— შეილო, ფულს თუ დღევანე არ გადამიხდი, მაგისტანა წარ-წერას ხვალე გავაკრავ!

რესტორანში შესულმა კლიენტმა ოფიციატს დაუკვეთა: — მომიტანეთ მწვანილი, ერ-თი ბოთლი ლუდი და კატლე-ტი! ნურც ლიმილსა და მეგობ-რულ სიტყვას დამამადლიო!

მიუტანეს. — კი მაგრამ, ლიმილი და მე-გობრული სიტყვა? დიხარა ოფიციატი და ლი-მილით უჩურჩულა:

— მწვანილი ნიტრატებიანია, ლუდი ძველია, კატლეტი ჩერნო-ბილის ხორცისაგანაა!

თამაზ ებანოძე

— როდის და სად შეიძლება თქვენი თანამშრომლის, ქალბა-ტონ ნატალიას ნახვა?



ნ.ბ. მ. აბაშიძის

— რა ვუყო ამ ძაღლს, აღარ ვიცი, ჩვენებური ძეხვის დანახვაზე აღერგია ემართება!..

7-90

90-289



სატირისა და იუმორის
მუხრანული „ნაწილი“ № 10
(1812). მაისი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლჭავაძე

საოცდებო კოლეგია:

ავთანდილ ადუღილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნოზალი
ხართია, რევაზ თვარაძე,
ჭებულ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი), ნოდარ მალა-
ზონია, ალექსანდრე საშხო-
ნია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნუა

გადამცემი საწყობად
20. 04. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დისპეტქად 18. 05.
90 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭილი ფურცელი 1.5. სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბაბი 1,9. საქართველოს კ-
ცის გამომცემლო ბაზა,
მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ.
№ 959. უფ. 04056. ტირაჟი
125.000. ყურნალი გამოდის
თვეში ორჯერ. რედაქციის
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
стваели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
ул. М. Костава № 14.

უბა 20 კაპ.

ინდექსი 78187



კონტროლირებადი
გამომცემლობა



33

— რას შვრები, მამი?!
— ფრინველივით თუ არ დაგრგოლე, შენი მიგრაციის
ადგილს ისე ვერ გავიგებ!